სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

12 ივნისი 2025

N 301/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „ბილდინგ-დეველოპერის“ მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო აკეთში მდ. სუფსას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ბილდინგ-დეველოპერის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო აკეთში მდ. სუფსას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო აკეთში, მდ. სუფსასა და მდ. აცანას შესართავთან, მდ. სუფსას მარჯვენა ნაპირზე. აღნიშნულ მონაკვეთში მიმდინარეობს მდინარის ეროზიული პროცესები, რაც საფრთხეს უქმნის აკეთის თემის სოფლების წყალმომარაგების სისტემის უსაფრთხო ფუნქციონირებას. ავარიულ მონაკვეთში მიმდინარე ეროზიული პროცესებისაგან დასაცავად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, გათვალისწინებულია ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება და გაბიონის კედლის მოწყობა. საპროექტო გაბიონის კედლის საწყისი და ბოლო წერტილის GPS კოორდინატებია: X-260333.254 Y-4655177.810; X-260318.721 Y-4655147.666; X-260242.159 Y-4655123.580. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია დაახლოებით 330 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნაპირდაცვითი სამუშაოების პროცესში გათვალისწინებულია 8 ერთეული ხე-მცენარის ბუნებრივი გარემოდან ამოღება, ქვაბულის მოწყობა, გრუნტის ექსკავაცია და გაბიონის კედლის ინერტული მასალით შევსება. საპროექტო გაბიონის კედლის სიგრძე იქნება 110 მეტრი, ხოლო სიმაღლე – 4.3 მეტრი და იგი აგებული იქნება 220 ცალი გაბიონის ყუთისგან, რომლებიც განთავსდება ოთხ რიგად. I რიგი წარმოდგენილი იქნება 3.0 x 2.0 x 0.30 მეტრიანი გაბიონის ყუთებით, II რიგი – 2.0 x 2.0 x 2.0 მეტრიანი გაბიონის ყუთებით, III რიგი – 1.50 x 2.0 x 1.0 მეტრიანი გაბიონის ყუთებით, ხოლო IV რიგი – 1.0 x 2.0 x 1.0 მეტრიანი გაბიონის ყუთებით. გაბიონის ყუთების შესავსებად გამოყენებული იქნება მდინარე სუფსადან მოპოვებული ქვა, ხოლო სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო სხვა მასალა საპროექტო ტერიტორიაზე შევა მზა სახით. ნაპირსამაგრი სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 3 თვის განმავლობაში.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. სუფსას ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია. საპროექტო გაბიონის კედელი გაანგარიშებულია მდ. სუფსას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდინარე სუფსას სიგრძე 108 კმ-ია, ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი 1130 $მ^2$-ს შეადგენს. მდ. სუფსას 1%-იანი უზრუნველყოფის ხარჯი 1045 $მ^3$/წმ-ია. საპროექტო უბანზე მდ. სუფსას კალაპოტის გარეცხვის საშუალო სიღრმე 3.94 მეტრის, ხოლო კალაპოტის წარეცხვის მაქსიმალური სიღრმე 6.30 მეტრის ტოლია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ნაპირსამაგრი სამუშაოების ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ხმაურის გავრცელება მოსალოდნელია სამშენებლო ტექნიკიდან. ამასთან,

ნაპირდაცვითი სამუშაოები ასევე დაკავშირებული იქნება მტვრის გავრცელებასთან, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე. დაგეგმილი ნაპირსამაგრი სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს დასახლებულ პუნქტთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. ამასთან, ნაპირდაცვითი სამუშაოები განხორციელდება მხოლოდ დღის საათებში და მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით გატარდება შემდეგი ღონისძიებები: ტექნიკა-დანადგარების გამართულობის კონტროლი; მოძრაობის სიჩქარეების შეზღუდვა; ძრავების უქმ რეჟიმში ექსპლუატაციის კონტროლი და სხვა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში მდ. სუფსაზე და გრუნტის წყლებზე მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება გაბიონის მოსაწყობად საჭირო მასალის მდინარის კალაპოტიდან მოპოვებასთან ასევე, გაუთვალისწინებელ შემთხვევებთან, როგორიცაა ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკის გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება კონტროლი, ხოლო ნაპირდაცვითი სამუშაოები განხორციელდება მდინარის წყალმცირობის პერიოდში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უშუალოდ გაბიონის კედლის მოწყობის სამუშაოები არ იწარმოებს მდინარის აქტიურ კალაპოტში.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას, სადაც საშიში გეოლოგიური პროცესებიდან აღინიშნება მდინარის ეროზიული პროცესები, რომელთა პრევენცია წარმოადგენს დაგეგმილი ნაპირსამაგრი სამუშაოების მთავარ ამოცანას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად და გატანილი იქნება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნაპირსამაგრი სამუშაოების პროცესში მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვა განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორიაზე ცხოველთა ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები წარმოდგენილი არ არის. ნაპირდაცვითი სამუშაოების პროცესში მოსაჭრელი ხე-მცენარეები (8 ერთეული) არ განეკუთვნება საკონსერვაციო სტატუსის მქონე სახეობებს. დაგეგმილი ნაპირსამაგრი სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობის და პროექტით განსაზღვრული შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, აღნიშნული სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

აღნიშნული სამუშაოები წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რომლის ძირითადი ამოცანაა მდინარის ეროზიული პროცესების პრევენცია და არსებული წყალმომარაგების სისტემის წარეცხვისაგან დაცვა.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „ბილდინგ-დეველოპერის“ მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფ. ქვემო აკეთში მდ. სუფსას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ბილდინგ-დეველოპერი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ბილდინგ-დეველოპერს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბილდინგ-დეველოპერის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/301-21-4-202506121113

ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •